ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №96334

ნომერი: AR133017

თარიღი : 26.03.2012

გაცემის თარიღი : 28.03.2012

გაცნობის თარიღი : 29.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდამაყრის ქ. N4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სეფერთელაძე პ/ნ 01030022760
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 52/54

ორგანიზაცია:

- დ პლუსი კოდი: 202907541

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას და კოეფიციენტის მომატებას, გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ #2167 (09.06.2011წ.) ბრძანებით (იხ. დანართი) უკვე განხორციელდა თქვენს მიერ მოთხოვნილი ცვლილება. ასევე #01.12.07.005.014 და #01.12.07.005.015 საკადასტრო ერთეულებზე ქ. თბილისის მერის განკარგულებების (იხ. დანართი #620 და #627 (20.03.2012წ.) განკარგულება) შესაბამისად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=3,6 და კ2=3,9;

გამომდინარე აქედან, აღნიშნული არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის პირობებში ცვლილების განხორციელებას და კოეფიციენტების გაზრდას. თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ #2167 (09.06.2011წ.) ბრძანებით და ქალაქ თბილისის მერის განკარგულებით.

(იხ. დანართი: 5 ფურცელი)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.